პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 141 (3625)

20 1968 წ. ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

საქართველოს სპორტკავშირში

## ზეიმის აღსანიშნავად

ფიზკულტურელის საკავშირო დღე წლეულს 10 აგვისტოს აღინიშნება. სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც მოისმინა რესპუბლიკაში ფიზკულტურელის დღისთვის მზადების საკითხი, სპორტკავშირებისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, საუწყებო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაავალა გაშალონ ფართო პროპაგანდისტული მუშაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობაზე ადამიანთა გაჯანსაღებისა და ახალგაზრდების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების სპეციალური გეგმა, რომელშიც უნდა გაითვალისწინონ ტურნირები ფიზკულტურის კოლექტივებში, სოფლებში, რაიონებსა და ქალაქებში; ავტომოტოველოგადარბენები, ტურისტული ლაშქრობანი, შეხვედრები გამოჩენილ ოსტატებთან, ვეტერანებთან; საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებისა და ფიზკულტურული აქტივის დახმარებით ჩაატარონ ლექცია-მოხსენებები და საუბრები სპორტულ თემებზე; მიაღწიონ ყველა ასაკის ადამიანთა ფართო მასების მონაწილეობას ღონისძიებებში და ამით მთ და „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსების ნიშნოსნების, აგრეთვე, თანრიგოსნების მასობრივ მომზადებას.

# სალუტი სიჭაბუკეს!

## ანატოლი მოშიაშვილი — თამაშების ჩემპიონი




კიევი, 18 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 100 ათასი მაყურებლის ტევადობის ცენტრალურმა სტადიონმა გუშინ სიჭაბუკის სპორტულ ზეიმს გადაუხსნა თავისი „მწვანე გული". ფანფარებმა საზეიმო აღლუმზე უხმეს I საკავშირო საზაფხულო სპორტული თამაშების მონაწილე ჭაბუკებსა და ქალიშვილებს (ასპარეზობა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება). სტადიონის ბილიკებზე მხნე ნაბიჯებით ჩაიარეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარგზავნილებმა.

თამაშების გახსნის საზეიმო რიტუალი კი დნეპრის თავზე მდებარე მარადიული დიდების პარკში დაიწყო, იქ, სადაც ცაშია აჭრილი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე აღმართული გრანიტის ობელისკი. ჭაბუკმა სპორტსმენებმა ყვავილების თაიგულებით შეამკეს ობელისკის კვარცხლბეკი. აქვე აინთო შეჯიბრების ცეცხლი, რომელიც შემდეგ სტადიონზე მიიტანეს. ცეცხლი აანთო დონეცკის მეტალურგიული ქარხნის 18 წლის მუშამ ვ. შკოტკინმა. სხვათა შორის, მან ღირსეულად აღნიშნა თამაშების დაწყება, როცა მძლეოსანთა შეჯიბრების პირველივე დღეს იუნიორებში თავისივე საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა 400 მეტრზე თარჯრბენში — 52,6.

ცენტრალურ სტადიონზე თამაშების მონაწილეებს მიესალმნენ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პ. ზანკოვსკი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ჩესნავიჩუსი, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ქაროვი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ა. ფიოდოროვი.

ჩესნავიჩუსმა წაიკითხა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმების ტექსტი მონაწილეებისადმი.

სტადიონზე მდგარ დიდ ფიალაში აგიზგიზდა ცეცხლი!

შემდეგ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ აკრობატები, ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, ფეხბურთელები, ავიამოდელისტები. დოსააფის მფრინავებმა სპორტულ თვითმფრინავებზე შეასრულეს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურები. სტადიონის თავზე გაიშალა პარაშუტების ნაირფერი თაღები. ზეიმი დააგვირგვინა ლამაზმა ფეიერვერკმა.

ამრიგად, სიჭაბუკის I საკავშირო თამაშები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ერთი კვირის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის თითქმის 4 ათასი სპორტსმენი უძლიერესთა წოდებას შეეცილება ერთმანეთს. თამაშების 17 სახეობიდან უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები კლასიკურ ჭიდაობასა (რსფსრ-ს ნაკრები) და ჭადრაკში (მოსკოვის ნაკრები).

ვიყოთ საბჭოთა სპორტის საუკეთესო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები! ასეთი დევიზით იწყებენ ბრძოლას ჭაბუკი ათლეტები.



კიევი, 19 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა შეჯიბრებები კიდევ ორ სახეობაში — მძლეოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში (გუნდური). 4 სახეობის შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში საერთო გუნდური ადგილები ჯერჯერობით ასე ნაწილდება: I. რსფსრ — 79 ქულა, II. უკრაინა — 78, III. მოსკოვი — 75, IV. ლენინგრადი — 60, V. ბელორუსია — 57, VI-VII. საქართველო, ლიტვა — 52-52.

თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი ათლეტები ასე გამოდიან: 48-კილოგრამიან წონით კატეგორიაში — მ. ჩხეიძეს 4 წრის შემდეგ მხოლოდ 1 საჯარიმო ქულა აქვს; 52 კგ — ნ. ლვინჯილიას — 4 გამარჯვება და 2,5 საჯარიმო ქულა; 56 კგ — შ. ლუტიძემ 3 შეხვედრა მოიგო, 1 ფრედ დაამთავრა და 4 საჯარიმო ქულა აქვს; 60 კგ — ტ. გაგუამ სსრ კავშირის ნაკრების წევრთან სობოლევსკისთან (ბელორუსია) ფრედ ჭიდილის შემდეგ 3 შეხვედრა მოიგო (1 — წმინდად) და 4 საჯარიმო ქულა აქვს; 65 კგ — ა. ხოხაშვილს 3 საჯარიმო ქულა აქვს — მან 2 შეხვედრა წმინდად მოიგო, 1 — ქულებით და ერთიც ფრედ დაამთავრა; 70 კგ — კ. სუთიაშვილს 3,5 საჯარიმო ქულა დაუგროვდა; 75 კგ — თ. გეგეშიძე შეჯიბრებას გამოეთიშა — იგი VIII ადგილზე დარჩა; 81 კგ — ნ. შიოშვილმა 4 საჯარიმო ქულა მიიღო, თუმცა 3 ჭიდილი მოიგო (1 — წმინდად) და ერთიც ფრედ დაამთავრა; 87 კგ — თ. ბენდიაშვილი სამი შეხვედრის შემდეგ უჯარიმოდაა. მძიმე წონაში წარმატებით გამოდის ნ. მოდებაძე, რომელმაც 3 წმინდა გამარჯვება იზეიმა, რასაც მხოლოდ 4 წუთი მოანდომა.

ჯერჯერობით გუნდურ ჩათვლაში ჩვენები I ადგილს იყოფენ რსფსრ-სა და უკრაინის მოჭიდავეებთან.

საქართველოს მძლეოსნები VIII ადგილზე გავიდნენ, რაც სპეციალისტებს წარმატებად მიაჩნიათ: შარშან ჩვენები ხომ მხოლოდ XIII ადგილზე იყვნენ.

ჭოკით ხტომაში III ადგილი დაიკავა ვ. ამოსოვმა — 360 სმ. ა. მოშიაშვილმა პირველობა არავის დაუთმო 200 მეტრზე თარჯრბენში — 24,3, 100 მეტრზე თარჯრბენში კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა — 14,8. რ. ქავთარაძე, ა. მოშიაშვილი, მ. ჯინჯიხაშვილი და ა. ჩუბინიშვილი III ადგილზე გავიდნენ 4×100 მ ესტაფეტაში — 42,5.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის ბადროს მტყორცნელმა ნ. ზვიადაურმა III ადგილი დაიკავა — 65,20 მ, ხოლო უროს მტყორცნელმა ე. გაფრინდაშვილმა — II — 59,74 მ. საშუალო ასაკის მოსწავლეებში II ადგილი სიმაღლეზე მხტომელთა შორის დაისაკუთრა რ. უზმორსკიმ — 190 სმ.

ძალიან ცუდად გამოვიდნენ გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენი მაგიდის ჩოგბურთელები: გოგონებმა X ადგილი დაიკავეს, ჭაბუკებმა კი XIII. საერთო გუნდურ ჩათვლაში XII ადგილზე გავედით.

ესპადრონისტთა ტურნირში ყველას აჯობა უკრაინის გუნდმა. ჩვენები V ადგილზე გავიდნენ. აი, პირადი შედეგებიც: ზ. დავარაშვილი — VI ადგილი, რ. ლომინაძე — XVII, თ. ესართია — XXV, ა. ლომიძე — 47-ე.

ხელბურთელთა შეხვედრებში 3 გამარჯვება იზეიმეს ჩვენმა ჭაბუკებმა: ტაჯიკეთთან — 27:20, რსფსრ-სთან — 18:16 და ლიტვასთან — 15:13. ჩვენებს განაღდებული აქვთ ფინალში გასვლა, თუმცა დარჩათ შეხვედრა უზბეკეთის წარმომადგენლებთან.

ხელბურთელმა გოგონებმაც სამი მატჩი მოიგეს (მოლდავეთთან — 15:10, ლატვიასთან — 15:8 და ესტონეთთან — 15:11), მაგრამ ამის შემდეგ ისინი დამარცხდნენ უკრაინის გუნდთან (10:24) და მხოლოდ ყაზახეთის ნაკრებთან მოგების შემთხვევაში გავლენ ფინალში.

ჯ. ენუქიძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ა. მოშიაშვილი თარჯრბენის დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

• • •

ლვოვი, 17 ივლისი (საკდეხი). კიროვაკანელმა მოსწავლემ კარაპეტ გინოსიანმა თამაშების პროგრამით აქ გამართულ შეჯიბრებისას მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ქვეყნის იუნიორთა ოფიციალური რეკორდი 2 ქულით გააუმჯობესა: 50 მეტრზე სამი მდგომარეობიდან 573 ქულა მოაგროვა.



ნათელა ქათამაძე სამი წელია მონდომებით მეცადინეობს ქუთაისის განათლების განყოფილების კომპლექსური სპორტული სკოლის მხატვრული ტანვარჯიშის სექციაში (მწვრთნელი ლ. შავდია). ნიჭიერმა სპორტსმენმა თავი გამოიჩინა საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, სადაც სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზე გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა უსაგნოდ ვარჯიშებში.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ქათამაძე ასპარეზობისას.

ფოტო ი. თუნაევისა.



## 5:2

მალმე (შვეცია), 18 ივლისი. გუშინ აქ შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — ბ. სპასკისა და ბ. ლარსენის ნახევარფინალური მატჩის VII პარტია.

მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. სპასკიმ აირჩია მისთვის კარგად ცნობილი სადებიუტო სქემა, რომელსაც წარმატებით იყენებს ხოლმე. იცოდა რა ეს, ლარსენმა კრიტიკულ მომენტში სცადა ინიციატივის ხელში ჩაგდება, მაგრამ საბჭოთა დიდოსტატმა უგნებელყო მეტოქის ყოველი მუქარა. შემდგომში ოსტატური თამაშით სპასკიმ ბრძოლა უკეთეს დაბოლოებაში გადაიყვანა. პარტია გადაიდო.

დღეს, თამაშის განახლებისას, ლარსენი შეეცადა კონტრშანსის მიღებას, მაგრამ ამაოდ: 48-ე სვლაზე სპასკიმ გაიმარჯვა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5:2 სპასკის სასარგებლოდ.

## კლარკმა ისევ იმარჯვა რეკორდი? პელე — ციხეში

## საათი!

◆ სტოკჰოლმი, 19 ივლისი. მსოფლიოს რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა რ. კლარკმა სამეფო სტადიონის სარბენ ბილიკზე კვლავ დაამარცხა თავისი მთავარი მეტოქე 5.000 მეტრზე რბენაში კ. კეინო (კენია). კლარკის დროა 13.30,4, ხოლო კეინოსი — 13.35,8. III ადგილზე გასული უნგრელი სტაიერი ლ. მეჩერი (13.40,6) გამარჯვებულს თითქმის 100 მეტრით ჩამორჩა. სიგრძეზე ხტომაში იმარჯვა პ. პოუსიმ (ფინეთი) — 8 მ. ამ სახეობაში შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა ლ. ებეკმა — 790 სმ. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ამერიკელმა ვ. ჰენკსმა — 211 სმ.

◆ ლონდონი, 19 ივლისი. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ფინელი ი. კუხას მსოფლიო რეკორდი, რომელიც მან ამ დღეებში სტოკჰოლმში დაამყარა, შესაძლოა არ დაამტკიცონ, — განაცხადა აქ სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მდივანმა დ. პეინმა. საქმე ის გახლავთ, რომ კუხა ასპარეზობდა ერთ-ერთი მსხვილი ნავთობის კომპანიის ემბლემიან მაისურში, რაც სამოყვარულო წესებით აკრძალულია.

◆ ბოგოტა, 19 ივლისი. სახელგანთქმული ბრაზილიური კლუბის — „სანტოსის" 6 ფეხბურთელი, მათ შორის პელეც, 3 საათი აყურყუტეს ადგილობრივი პოლიციის ციხეში. ფეხბურთელები დააპატიმრეს იმის გამო, რომ ისინი მეტისმეტად უხეშად გამოთქვამდნენ პროტესტს ადგილობრივი მსაჯის გ. ველასკეზის არბიტრობის წინააღმდეგ კოლუმბიის ოლიმპიურ ნაკრებთან მატჩში. ეს შეხვედრა ბრაზილიელებმა მოიგეს ანგარიშით 4:2, მაგრამ არბიტრმა კოლუმბიელებს ჩაუთვალა გოლი, რომელიც ბრაზილიელებს უსწოროდ გატანილად მიაჩნდათ. ფეხბურთელები მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მათ წერილობითი ბოდიში მოუხადეს მსაჯს ველასკეზს და... კოლუმბიელ ფეხბურთის მოყვარულთ.

### ფედერაციის პლენუმზე

# არ გვყოფნის ბაზები, ინვენტარი...

ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში საქართველოს სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ. გვყავდა მედალოსნები, რომელთაგან საუკეთესონი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში შედიოდნენ და საერთაშორისო ასპარეზზე ცდიდნენ ძალას: ა. მატკავამ და ჯ. ხოშტარიამ უცხოეთშიც ისახელეს თავი, თუმცა საქართველოში ნიჩბოსნობა მხოლოდ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, მცხეთასა და რუსთავშია დანერგილი. ახლახან ამ სახეობას დუშელებმაც მოკიდეს ხელი.

ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმზე ასე დაიწყო მოხსენება ფედერაციის თავმჯდომარემ კ. რევიამ. მან ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში ფედერაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე, ნიჩბოსნობის განვითარებაში მოპოვებულ მიღწევებზე, არსებულ ნაკლოვანებებზე.

მომხსენებელმა თქვა, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ფედერაცია უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ბაზების გაფართოებასა და უკეთ აღჭურვას, ნიჩბოსნობაში ნიჭიერი ახალგაზრდობის ჩაბმას, სისტემატურ წვრთნას, ტურნირების ხშირად გამართვას. ამ ძირითადი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას ემსახურებოდა პერსპექტიული გეგმების დროულად შედგენა და განხორციელება. ყოველივე ამან განაპირობა, რომ საქართველოს გუნდმა სპარტაკიადაში საბოლოოდ VI ადგილი დაიკავა.

მომხსენებელი განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა იმ ხარვეზებზე, რაც ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის შემდგომ განვითარებას აფერხებდა და რამაც ნაკრებს უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში შეუშალა ხელი.

— ბაზებისა და ინვენტარის სიმცირის გამო მასობრიობას ვერ მივაღწიეთ, — თქვა რევიამ. — ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებოდნენ სპორტსაზოგადოებები. სათანადო დონეზე არ დგას მუშაობა ახალგაზრდობისა და ბავშვთა სპორტულ სკოლებში. რესპუბლიკაში სულ 1650 ნიჩბოსანია, მათგან გუნდის შერჩევა და ბრძოლა ისეთ რესპუბლიკებთან, სადაც ამ სახეობაში ათჯერ მეტი სპორტსმენი ჰყავთ, რა თქმა უნდა, ძნელია.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დებულებით, მოთხოვნები გართულდა: ტურნირში დაიშვებიან მხოლოდ მოზრდილთა ის გუნდები, რომლებიც მთლიანად ოსტატებით იქნებიან დაკომპლექტებული, იუნიორთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება კი მოზრდილთა I თანრიგის სპორტსმენებით დაკომპლექტებულ კოლექტივებს აქვთ. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა, პირველ ყოვლისა, კეთილმოწყობილ ბაზებს, საკმარი რაოდენობის ინვენტარსა და მასობრიობას მოითხოვს. ჩვენ კი სწორედ ეს არა გვაქვს. არც ერთ საზოგადოებას, არც ერთ რაიონსა და ქალაქს არ აქვს საკმარისი რაოდენობის ინვენტარი. ხშირად ერთი ნავით რამდენიმე სპორტსმენი რიგრიგობით ვარჯიშობს. არსადაა ნავების შემკეთებელი სახელოსნოები. ნორმალურ წვრთნას ძრავიანი ნავების, კატარღების უქონლობა და საწვავის სიმცირეც აფერხებს (საწვავის სიმცირეზე ილაპარაკეს ფოთის წარმომადგენლებმაც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წლეულს ამ ქალაქის ნიჩბოსნებს მხოლოდ 500 ლიტრი ბენზინი გამოუყვეს).

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი: შ. ჰედიამ და ო. ბუაძემ (ორივე — ფოთი) ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რაც ხელს უშლის ფოთში ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის სათანადოდ განვითარებას. თქვეს, რომ რიონზე რამდენიმე წელია შენდება „ვოდნიკის" ბაზა, მის დამთავრებას კი საშველი არ დაადგა. ქალაქის საბჭოს აღმასკომმა ნავების შესაძენად მნიშვნელოვანი თანხა გამოჰყო, ნავები კი არ იშოვება, უკმარია ინვენტარი. არ ჰყავთ საექიმო ფიზკულტურის სპეციალისტი. ნიჩბოსნობის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ ჯგუფები „ვოდნიკის" გარდა ქალაქის არც ერთ სპორტსაზოგადოებასთან არაა შექმნილი.

ზ. ჩერნიშოვამ და ხ. ჩილინგარიძემ (ორივე — აჭარა) აღნიშნეს, რომ მათს რესპუბლიკაში დღემდე ვერ მოხერხდა ნიჩბოსნობის ხეირიანი ბაზის მოწყობა, მხოლოდ ზღვაზე ვარჯიშით კი, ცხადია, ფონს ვერ გახვალ. სექციები ვერ იზიდავენ სპორტსმენებს, განსაკუთრებით, ქალებს. თქვეს: ჯგუფების დაკომპლექტებას რის ვაი-ვაგლახით ვახერხებთ, მაგრამ ინვენტარის უქონლობის გამო წვრთნის ნორმალურ პირობებს ვერ ვუქმნით და აღსაზრდელები მეცადინეობას ტოვებენ.

აჭარაში ნიჩბოსნობის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო ცენტრალური საბჭოს პირველობაში გუნდს აღარ გზავნის. „სპარტაკს" აჭარაში არც ერთი ჯგუფი არა აქვს გახსნილი.

„ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. გიორგობიანმა ფედერაციას უსაყვედურა, რომ იგი ქალაქებსა და რაიონებს, საზოგადოებებს არ ავალებს რეგულარულად გამართონ თავიანთი ტურნირები, იშვიათად აწყობს მატჩებს.

— „ლოკომოტივმა" კარგა ხანია დააყენა ამ საზოგადოების ბაზის მოსაწყობად თბილისში ადგილის გამოყოფის საკითხი. განზრახული გვქონდა მტკვარზე პირველხარისხოვანი ბაზის მოწყობა, საგზაო საბჭოს საამისო სახსრებიც აქვს, მაგრამ ქალაქის საბჭოს აღმასკომის თანხმობას ვერ მივაღწიეთ, — თქვა გიორგობიანმა. — მართებულია ფოთის წარმომადგენლების საყვედური, რომ ამ ქალაქში დღემდე არ მუშაობს ჩვენი ჯგუფი. საგზაო საბჭო ამ ნაკლს მალე გამოასწორებს.

მან გააკრიტიკა ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექცია, რომელმაც თბილისის ზღვაზე მოსპო რკინიგზელ ნიჩბოსანთა ერთადერთი ბაზა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ა. ჩხიკვაძემ (სოხუმი), შ. მაღლაფერიძემ (ქუთაისი), მ. პოგრებიჟსკიმ (რუსთავი), თ. ნებიერიძემ, ი. პერმინოვმა, მ. მნათობიშვილმა (ყველა — თბილისი), „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ბმრიევმა და საქართველოს სპორტკავშირის მთავარმა მწვრთნელმა ნიჩბოსნობაში ა. არხანგელსკიმ.

მათ განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ტექნიკუმებში ნიჩბოსნობის განვითარებას, მსაჯთა დონის ამაღლებას, ფედერაციის ყველა წევრის სათანადოდ დატვირთვას, შეჯიბრებების უფრო ხშირად გამართვას, თქვეს, რომ მწვრთნელთა ნაწილი უგემოდ მუშაობს, არ ხდება გაწეული შრომის აღრიცხვა, გააკრიტიკეს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილება, რომლის არც ერთმა წარმომადგენელმა არ ისურვა ფედერაციის პლენუმზე დასწრება.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

დასასრულს მოეწყო ფედერაციის პრეზიდიუმის, მწვრთნელთა საბჭოსა და მსაჯთა კოლეგიის ახალი შემადგენლობის არჩევნები. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს კ. რევია, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — თ. ნებიერიძე, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ — ვ. ალთუნაშვილი.

### ბარაქალა თქვენს მარჯვენას!

# მისი წვლილიცაა...

საათნახევარს წყალზე ვტრიალებდით. ფოთელი ნიჩბოსნების მწვრთნელმა შ. ჰედიამ თავის აღსაზრდელებს — 15 წლის ზ. ხოფერიასა და ნ. ჩარაევს გასძახა, თანაბრად იარეთო. შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: ნიჭიერი სპორტსმენები არიან, თუ მონდომებით ივარჯიშეს, ვფიქრობ, მათგან კარგი დუეტი დადგება.

ვარჯიში თავდაპირველად ერთადგილიანი კანოეთი დაუწყიათ, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში კი მწვრთნელს ერთად გამოუყვანია და არც შემცდარა — ჰაბუკებს ჩემპიონობა მოუპოვებიათ.

— არ მახსოვს ამათ ვარჯიში გაეცდინოთ. მეცადინეობა კი კვირაში ხუთჯერ გვაქვს, — ამბობს მწვრთნელი.

ასევე გულმოდგინედ ვარჯიშობენ ჰედიას სხვა აღსაზრდელებიც: 15 წლის გ. ადამია და გ. სოკოლოვა, ოსტატობის კანდიდატები—18 წლის ა. ივანოვი და ა. ბაზელკო...

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს შ. ჰედიას ათობით ოსტატი აღუზრდია. მან წარმატებას იმით მიაღწია, რომ მუდამ ახლის ძიებაშია, მუდამ პატიოსნად ემსახურება მინდობილ საქმეს. შრომის სიყვარული მას საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. რაზმაძემ ჩაუნერგა. შუქრიმ რაზმაძე 1954 წელს გაიცნო, როცა მასთან ვარჯიში დაიწყო. რაზმაძის მოწაფე იყო სსრ კავშირის I, II და III სპარტაკიადებში რომ მიიღო მონაწილეობა, შარშან კი, საიუბილეო სპარტაკიადაში, ძველმა მეტოქეებმა თავად ჰედია იხილეს მწვრთნელის როლში.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში საქართველოს წარმომადგენლებმა ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში VI საპრიზო ადგილი დაიკავეს. ამ წარმატებაში წვლილი შუქრი ჰედიასაც მიუძღვის.

ვ. ბუკია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

# ინიციატორი

ამას წინათ ჭიათურის დახურულ საცურაო აუზში საქართველოს ცურვის ფედერაციის თაოსნობით ჩვენი რესპუბლიკისა და სომხეთის მოცურავეთა მატჩი გაიმართა. ამ შეჯიბრების დღეებში ჩავიდა იქ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. საფრონოვი. მოეწონა შავი ოქროს ქალაქი, მისი სპორტული ბაზები, აუზი. გამოცდილმა მწვრთნელმა სწორედ მაშინ გადაწყვიტა ჭიათურის ნორჩ მოცურავეთა აღზრდისთვის მოეკიდა ხელი.

ამ წინადადებას ქალაქის ხელმძღვანელობა კმაყოფილებით შეხვდა. მწვრთნელის ინიციატივა ცურვის რესპუბლიკურმა ფედერაციამაც მოიწონა და საფრონოვი ძნელ, მაგრამ საპატიო საქმეს შეუდგა.

მას შემდეგ სამი თვე გავიდა. მწვრთნელმა ნიჭიერი ბავშვები შემოიკრიბა და სექციური მუშაობაც გაჩაღდა.

საფრონოვი მხოლოდ იმითაა უკმაყოფილო, რომ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში მუდამ არ უწევენ სათანადო დახმარებას. ენთუზიასტს კი ნორმალური მუშაობის ყველა პირობა უნდა შეექმნას.

თ. შეყილაძე.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

* * *

სურათზე: ა. საფრონოვი მორიგ მეცადინეობაზე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა.



### [illegible]

**◆ თბილისი**

ფეხსაცმლის მე-2 ფაბრიკის მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, გაიმარჯვა ვ. ჭეხაშვილმა.

გ. საქუაშვილი.

**◆ ზუგდიდი**

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ჯვარზენში მოაწყო ენგურჰესელთა ტურნირი მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. 8 გუნდს შორის ყველას აჯობეს მე-3 ავტოსატრანსპორტო კონტორის სპორტსმენებმა. პირად შეჯიბრებაში ამ კოლექტივის წევრმა გ. გეთიამ იმარჯვა.

გ. ალშიბაია.

# პატრიოტიზმის სულისკვეთებით

ამას წინათ ბათუმში გაიმართა დოსააფის ბათუმის საქალაქო და აჭარის რესპუბლიკური კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი.

მოხსენებით გამოვიდა აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე შ. მანელიშვილი. მან აღნიშნა, რომ აჭარის რესპუბლიკური კომიტეტი თავის რიგებში ამჟამად ათეულ ათასობით წევრს აერთიანებს და დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი ქვეყნის დამცველთა რიგებში ტექნიკის ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობის წარგზავნისთვის.

თავდაცვითი მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზებსა და მეთოდებზე, კიდევ სხვა საკითხებზე ილაპარაკეს და კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს დოსააფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. უშვერიძემ, ბათუმის საქალაქო რადიოქსელის უფროსმა ს. ვერხოვსკიმ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა ა. ბუკაშკინმა, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ჯ. ნაკაშიძემ, აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატის განყოფილების უფროსმა, მაიორმა ო. თავბერიძემ და სხვ.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე გ. მესხიძე და აჭარის ასსრ სამხედრო კომისარი, პოლკოვნიკი რ.ართმელაძე.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# საერთო ძალით

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა შრომითაც და სპორტული მუშაობითაც. კომბინატის ფიზკულტურელებს გამოცდილი მუშაკი ვ. მიქაძე ხელმძღვანელობს. საამქროებს შორის გამართულმა ტურნირებმა, მეზობელ საწარმოებთან შეჯიბრებებში ხშირად მონაწილეობამ ქუთაისელ მეაბრეშუმეებს ბევრი წარმატება მოუტანა, რომელთაგან ყველაზე საპატიოდ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მოპოვება მიაჩნიათ. კომბინატის ფიზკულტურელები სპორტში მაღალი მაჩვენებლებისთვის ამ დროშით ადრეც რამდენჯერმე დაჯილდოვდნენ, შარშან კი სამუდამოდ დაინარჩუნეს იგი.

საიუბილეო სპარტაკიადის წელიწადს ამ საწარმოში 2 სპორტის ოსტატი, 4 ოსტატობის კანდიდატი, 20 პირველთანრიგოსანი და 304 სხვა თანრიგების სპორტსმენი მომზადდა. ახლა კომბინატის თითქმის ყოველი მეორე თანამშრომელი ფიზკულტურელია. საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელებისთვის შექმნილია გამაჯანსაღებელი ჯგუფები.

კომბინატის თანამშრომელთა შვილებისთვის შექმნილ სპორტულ სექციებში ასობით ბავშვი მეცადინეობს. ფიზკულტურული აქტივისტების ლ. კაკუშაძის, ლ. შუბლაძის, თ. ზოტოვას, ქ. კატარლიცკაიას და სხვათა მონდომებული მუშაობის შედეგად საწარმოში ჭიდაობის, ცურვის, ფარიკაობის და სხვა სახეობების კარგი გუნდებია შექმნილი. ქალაქის ნაკრებში ამჟამად 40 მეაბრეშუმე სპორტსმენი შედის, „განთიადის" რესპუბლიკურ ნაკრებში — 7, ი. ზოტოვა კი სსრ კავშირის ახალგაზრდა მოცურავეთა ნაკრების წევრია.

ახლახან კომბინატს ფრენბურთისა და კალათბურთის ახალი მოედნები შემატა.

რ. მეგრელიშვილი.

ქუთაისი.

# ფეხბურთი -68

## სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 19 | 13 | 4 | 2 | 35—17 | 30 |
| „დინამო" (კიევი) | 20 | 11 | 8 | 1 | 27—11 | 30 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 19 | 9 | 7 | 3 | 22—10 | 25 |
| „დინამო" (თბილისი) | 19 | 8 | 8 | 3 | 18—6 | 24 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 19 | 8 | 7 | 4 | 32—19 | 23 |
| „დინამო" (მინსკი) | 19 | 8 | 7 | 4 | 20—14 | 23 |
| ცსკა | 19 | 8 | 6 | 5 | 22—16 | 22 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 19 | 6 | 10 | 3 | 20—19 | 22 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 19 | 6 | 8 | 5 | 20—23 | 20 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 19 | 5 | 9 | 5 | 18—18 | 19 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 19 | 6 | 6 | 7 | 18—17 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 19 | 6 | 5 | 8 | 13—14 | 17 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 19 | 5 | 7 | 7 | 11—22 | 17 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 19 | 5 | 6 | 8 | 20—22 | 16 |
| სკა (როსტოვი) | 19 | 5 | 5 | 9 | 22—30 | 15 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 19 | 4 | 6 | 9 | 17—34 | 14 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 19 | 4 | 5 | 10 | 13—20 | 13 |
| „არარატი" (ერევანი) | 19 | 4 | 5 | 10 | 13—22 | 13 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 20 | 3 | 5 | 12 | 13—27 | 11 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 19 | 2 | 6 | 11 | 9—22 | 10 |

18 ივლისს შედგა მორიგი ტურის მატჩები. 8 გუნდმა ამ დღეს „დახურა" პირველი წრის „ბალანსი", ხოლო კიევის „დინამომ" და ქუთაისის „ტორპედომ" დაიწყეს მეორე წრე.

მინსკის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს კიროვაბადის თანაკლუბელთა გუნდი. ანგარიში გახსნა მინსკელმა ადამოვმა, ხოლო მუსტიგინმა მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მატჩის ბოლო წუთზე კიროვაბადელმა აბდულაევმა შეძლო 1 საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

მოსკოვის არმიელებმა შინ დაამარცხეს „შახტიორი" — 3:2. არმიელები შესვენების შემდეგ წინ იყვნენ ანგარიშით 3:0 (ადამოვი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი), მაგრამ მათ ნაადრევად მიიჩნიეს მოთავებულად საქმე და საშუალება მისცეს მეტოქეს ხელთ აეღო საერთო უპირატესობა. პირველი საპასუხო ბურთი გაიტანა ტლიარუგოვმა, რის შემდეგ გრიგორიევმა ზუსტად გამოიყენა პენალტი — 2:3. დონეცკელებს, უბრალოდ, დრო არ ეყოთ ანგარიშის გასათანაბრებლად.

ფრედ ითამაშეს ლენინგრადში „ზენიტმა" და „ნეფტჩიმ". გონჩაროვის („ზენიტი") გოლს 30-ე წუთზე მოჰყვა ტუაევის საპასუხო ბურთი. მეორე ტაიმში „ზენიტი" კვლავ დაწინაურდა (უნანოვი) და ბაქოელებმა კვლავ გაათანაბრეს ანგარიში (მარქაროვი) — 2:2.

„ჩერნომორეცმა" შინ მიიღო როსტოვის არმიელთა გუნდი და გაიმარჯვა — 1:0. ეს ბურთი გაიტანა შვენიგოროდსკიმ.

## ისევ 0:1

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 18 ივლისი.

„დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (1:0).

„დინამო": რუდაკოვი, მედვიდი, სოსნიხინი, ლევჩენკო (შპაკოვი), კრულიკოვსკი, ტურიანჩიკი, მუნტიანი, პუზაჩი, ბიშოვეცი (პარკუიანი), ვერემეევი, ხმელნიცკი.

„ტორპედო": კვახაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ზარია, საკანდელიძე (ჭოლაძე), ასიტაშვილი (ნაჭყებია), ვეკუა, ხაჟალია, ჭითანავა.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

დუბლიორებს წინდლით არ უთამაშიათ.

ქუთაისის „ტორპედო" წინა ჩემპიონატების შეხვედრებში, როგორც წესი, მარცხიანად თამაშობდა კიევში. განვლილ ტურში ამ ორ მეტოქეს პრინციპული მნიშვნელობის შეხვედრა ჰქონდა: კიეველები ჩემპიონის წოდებისთვის იბრძვიან, ქუთაისელები კი არანაკლებ პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან: მათ ახლა ყველაფერი უნდა იღონონ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის.

ამიტომ შეხვედრას უშეღავათო, უკიდურესად დაძაბული ხასიათი ჰქონდა. მთელი ტაიმის მანძილზე წარმოებდა მწვავე ბრძოლა წარმატების მისაღწევად. ქუთაისელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე შესაძლებლობა, ხოლო დინამოელებმა 43-ზე წუთზე, მოწინააღმდეგის კართან შექმნილ არეულობაში, მოძებნეს საშუალება გოლით დაემთავრებინათ ეს შეტევა. გოლის ავტორია ხმელნიცკი.

შესვენების შემდეგ კვახაძეს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა. საპასუხო იერიშები ჰქონდათ სტუმრებსაც, მაგრამ თავდამსხმელები უხეიროდ ურტყამდნენ კარში.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## III ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მახაჩყალა) | 19 | 9 | 8 | 2 | 15—7 | 26 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 18 | 9 | 7 | 2 | 18—9 | 25 |
| „ვოლგა" (გორკი) | 19 | 9 | 5 | 5 | 25—13 | 23 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 18 | 8 | 6 | 4 | 25—14 | 22 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 19 | 8 | 6 | 5 | 19—19 | 22 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 19 | 7 | 7 | 5 | 18—12 | 21 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 19 | 7 | 7 | 5 | 16—13 | 21 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 18 | 6 | 8 | 4 | 18—13 | 20 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 20 | 6 | 8 | 6 | 25—23 | 20 |
| „დინამო" (ბათუმი) | 18 | 7 | 6 | 5 | 19—17 | 20 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 19 | 6 | 7 | 6 | 21—13 | 19 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 19 | 5 | 8 | 6 | 13—17 | 18 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 19 | 5 | 8 | 6 | 14—20 | 18 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 19 | 4 | 8 | 7 | 14—15 | 16 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 18 | 6 | 4 | 8 | 21—24 | 16 |
| „თერგი" (გროზნო) | 19 | 5 | 6 | 8 | 17—20 | 16 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 17 | 6 | 3 | 8 | 14—18 | 15 |
| „სტროიტელი" (უფა) | 18 | 3 | 9 | 6 | 18—22 | 15 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 19 | 4 | 7 | 8 | 16—25 | 15 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 19 | 1 | 10 | 8 | 13—26 | 12 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 19 | 3 | 6 | 10 | 13—32 | 12 |

შენიშვნა: 16 ივლისის მატჩის შედეგი რედაქციას არასწორად გადმოსცა საკდესმა. სწორად ასეა: „ზენიტი" (იჟევსკი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 1:3, „ზვეზდა" (პერმი) — „თერგი" (გროზნო) 2:1.

ჩვენი მოსკოველი ფოტოკორესპონდენტის ბ. სვეტლანოვის ეს ორი სურათი სსრ კავშირის დედაქალაქში ამას წინათ გამართული დიდებული მატჩის მომენტებს ასახავს. მკითხველი უმალვე მიხვდება, რომ ლაპარაკია მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების უაღრესად წარმტაც და შინაარსიან ორთაბრძოლაზე.

თბილისელებმა ყველა რგოლში აჯობეს მრისხანე მეტოქეს და მათი ღირსეული გამარჯვება ლუჟნიკის სტადიონის მწვანე მინდორზე გაჩაღებული უშეღავათო ბრძოლის ლოგიკური ფინალი იყო.

ამ სურათებზე აღბეჭდილი არიან... თუმცა, რა საჭიროა ამის თქმა — ეს თქვენც მშვენივრად იცით.





## ჯერ შინ...

გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ 2 შეხვედრა.

მოსკოვის ტორპედოელებმა მიიღეს ერევნის „არარატი". ანგარიში 51-ე წუთზე გახსნა გერშკოვიჩმა, 10 წუთის შემდეგ ტორპედოელებმა (შალიმოვი) კიდევ ერთი გოლი გაიტანეს მეტოქის კარში და გაიმარჯვეს — 2:0.

თბილისის „დინამო" კუიბიშევში შეხვდა ადგილობრივ „კრილია სოვეტოვს". ერთადერთი ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, მე-80 წუთზე თავური დარტყმით გაიტანა მასპინძელთა გუნდის კაპიტანმა ბ. კაზაკოვმა — 1:0.

წინა დღით გაიმართა ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა. წარმატება აქაც კუიბიშეველებს ხვდათ წილად — 2:1.

### გათამაშების ცხრილი რსფსრ-ს IV ზონა

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 20 | 10 | 8 | 2 | 29—10 | 28 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 20 | 10 | 8 | 2 | 20—13 | 28 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 20 | 10 | 6 | 4 | 32—14 | 26 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 20 | 8 | 8 | 4 | 26—13 | 24 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 20 | 7 | 10 | 3 | 23—16 | 24 |
| „ბრაქსი" (ეჩმიაძინი) | 20 | 11 | 1 | 8 | 22—18 | 23 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 20 | 9 | 4 | 7 | 30—22 | 22 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 20 | 9 | 4 | 7 | 22—15 | 22 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 20 | 7 | 8 | 5 | 19—18 | 22 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 20 | 8 | 5 | 7 | 26—15 | 21 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 20 | 7 | 6 | 7 | 16—20 | 20 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 20 | 6 | 7 | 7 | 21—24 | 19 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 20 | 6 | 7 | 7 | 22—31 | 19 |
| „დინამო" (სოხუმი) | 20 | 8 | 2 | 10 | 26—23 | 18 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 20 | 5 | 7 | 8 | 11—22 | 17 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 19 | 6 | 4 | 9 | 20—21 | 16 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 19 | 6 | 4 | 9 | 18—25 | 16 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 20 | 7 | 2 | 11 | 19—28 | 16 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 20 | 4 | 7 | 9 | 10—17 | 15 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 20 | 4 | 4 | 12 | 18—32 | 12 |
| „კახეთი" (თელავი) | 20 | 3 | 4 | 13 | 10—33 | 10 |

შენიშვნა: I წრის ბოლო შეხვედრა სოხუმის „დინამოს" კიროვაკანში ჰქონდა ადგილობრივ „ლორისთან". დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.



# წამიერი ეპიზოდი

ტალ — კორჩნოის მატჩი ეს-ესაა დამთავრდა. ამ ორი შესანიშნავი მოჭადრაკის ღრმად შინაარსიანმა ბრძოლამ უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია. სურათზე სწორედ მათი მატჩის მომენტია აღბეჭდილი. ტალი დაძაბულად ჩასცქერის პოზიციას, — როგორც ჩანს, დაფაზე მეტისმეტად მწვავე სიტუაციაა. კორჩნოი განზე გამდგარა და შორიდან უყურებს სარბიელს... კიდევ რამდენიმე წუთი, და აშკარა გახდება ტალის არა მარტო ერთი მორიგი სვლა, არამედ შესაძლოა, კორჩნოიმ მეტოქის ჩანაფიქრიც ამოიკითხოს.

ტალ — კორჩნოის ორთაბრძოლის ეს წამიერი ეპიზოდი მათი მძაფრი შერკინების უტყუარი საბუთია.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის პროტესტი

ფხენიანი, 18 ივლისი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თვითნებურად გადაწყვიტა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას უწოდოს „ჩრდილოეთ კორეის“ გუნდი და ამით შექმნა სერიოზული შეფერხებანი მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ამ ქვეყნის ნაკრების მონაწილეობისთვის.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტი ერთხელ კიდევ დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ გააუქმოს თავის 66-ე გენერალურ სესიაზე მიღებული ეს დისკრიმინაციული გადაწყვეტილება და ამ ქვეყნის გუნდს სამართლიანად უწოდოს „კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი“.

## ახალი ამბები

● **სკოპლიე, 17 ივლისი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 6 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატმა სავონმა — 4,5 ქულა. II ადგილზეა უნგრელი დიდოსტატი პორტიში. მას 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

● **ამსტერდამი, 17 ივლისი.** აქ დაწყებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობს 16 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი. I ტურში ივკოვმა (იუგოსლავია) მოუგო ზიუიდემას (ჰოლანდია), ხოლო კუიპერსმა (ჰოლანდია) — კოტოვს (სსრ კავშირი). პარტიები: იონგსმა (ჰოლანდია) — ბრონშტეინი (სსრ კავშირი), კავალეკი (ჩეხოსლოვაკია) — ჩირიჩი (იუგოსლავია), ლანგევეგი — ბაუმსტერი (ორივე — ჰოლანდია), დონერი (ჰოლანდია) — მაროვიჩი (იუგოსლავია), ლენდიელი — ბილეკი (ორივე — იუგოსლავია) ყაიმით დამთავრდა. შამკოვიჩ (სსრ კავშირი) — რეეს (ჰოლანდია) პარტია გადადებულია.

● **იბსი (ავსტრია), 17 ივლისი.** მსოფლიოს სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდურ ჩემპიონატში 2 ტურის შემდეგ თავიანთ ჯგუფებში (სულ 5 ჯგუფია) ლიდერობენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, შვეიცარიის, გფრ-ის, ფინეთის, ისლანდიის, ისრაელის, დანიის, საბერძნეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

● **ვარენდორფი, 18 ივლისი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ პატარა ქალაქში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა ა. ბალცომ (უნგრეთი) — 5151 ქულა. II ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი პ. ლედნიოვი (5060), ხოლო III — ჰ. ტადე (გფრ) — 4946. გუნდურ ჩათვლაში ბადალი არ ჰყავდათ სსრ კავშირის წარმომადგენლებს — 15.017 ქულა. უნგრელებმა II ადგილი დაიკავეს — 14.786. III ადგილზე გავიდნენ ტურნირის მასპინძლები — 14.464.

● **სტოკჰოლმი, 18 ივლისი.** შვეციის დედაქალაქის სამეფო სტადიონზე დიდი ინტერესი გამოიწვია მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებამ. ასპარეზობის პირველი დღე ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა: 29 წლის ი. კუხამ (ფინეთი) წარმატებით მიიტანა იერიში ოლიმპიური ჩემპიონის გ. რულანტსის (ბელგია) მიღწევაზე 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 8.26,4. კუხამ მეტისმეტად მსუბუქად ირბინა და უახლოესი მეტოქე, ნორვეგიელი ა. რისი თითქმის 100 მეტრით ჩამოიტოვა. მსოფლიოს ახალი რეკორდია 8.24,2. ამ შესანიშნავი მიღწევის ავტორი კაიპოლელი კრონომისტია (ეს ქალაქი ჰელსინკიდან 220 კმ ჩრდილოეთით მდებარეობს). ზამთარში კუხა ოთხ თვეს ვარჯიშობდა ბრაზილიაში და გუშინდელ სარეკორდო გარბენამდე მისი საუკეთესო შედეგი იყო 8.29,8 (სკანდინავიის რეკორდი). ამერიკელმა ბ. სივრენმა ჭოკით 520 სმ სიმაღლე დაძლია. ესეც რეკორდია, ოღონდ სამეფო სტადიონისა. აშშ-ს ჩემპიონმა ჯ. მეისნმა 1.500 მეტრზე რბენაში (3.40,5) 0,2 წამით აჯობა ქ. კეინოს (კენია). 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში ტოლი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენ ჩ. გრინს (აშშ), მაგრამ მისი შედეგი შორსაა სარეკორდოსგან — 10,3. II ადგილზე გასული, მეხიკოს III წინაოლიმპიურ კვირეულში გამარჯვებული ჰ. კონე (სპილოს ძვლის ნაპირი) ამერიკელს 0,3 წამით ჩამორჩა.

## მოჭადრაკეთა ტურნირები

### ორთაბრძოლა წყვილებში...

სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში. ლენინაკანი. 8-16 ივლისი. პრიზიორები.

48 კგ-მდე. 1. ვ. ივანოვი (ვოლგოგრადი), 2. ვ. ბელინსკი (ტაშკენტი), 3. ა. სემიონოვი (სარატოვი) და მ. ჯაკსიბაევი (ჩიმკენტი).

ურჩატესი წონა. 1. ლ. ბუგაევსკი (ოდესა), 2. ნ. ნოვიკოვი (მოსკოვის ოლქი), 3. ი. ლეშჩევი (ივანოვო) და ი. ვიალჩენკოვი (გროდნო).

მჩატე. 1. ვ. სოკოლოვი (ჩებოქსარი), 2. ბ. ნიიაზოვი (ტაშკენტი), 3. ვ. ორლოვი (მოსკოვის ოლქი) და ვ. ბენდალოვსკი (კიევი).

ქვემსუბუქი. 1. ვ. პლოტნიკოვი, 2. ს. სტეპაშკინი (ორივე — მოსკოვი), 3. ბ. კოშევინი (ალმა-ათა) და ს. ტრესტინი (ოდესა).

მსუბუქი. 1. ს. ლომაკინი (მოსკოვის ოლქი), 2. ვ. ბელოუსოვი (ვოლგოგრადი), 3. ი. ხელივერსტოვი (ყარაგანდა) და ვ. გაზაროვი (ბაქო).

პირველი ქვესაშუალო. 1. ე. ფროლოვი (მოსკოვი), 2. გ. ხაიადიანი (ერევანი), 3. ა. დოლგოვი (ლენინგრადი) და ვ. გრანიჩნიკოვი (მოსკოვი).

მეორე ქვესაშუალო. 1. ვ. მუსალიმოვი (კიევი), 2. ა. პრივალოვი (პერმი), 3. ა. შოკოლევიჩი (რიგა) და ვ. ტრეპშა (დაუგავპილსი).

პირველი საშუალო. 1. ბ. ლაგუტინი (მოსკოვი), 2. ვ. ტრეგუბოვი (ვოლგოგრადი), 3. ბ. ოპუკი (ლენინგრადი) და ვ. აგეევი (მოსკოვის ოლქი).

მეორე საშუალო. 1. ე. კაუფმანი (დონეცკი), 2. ა. სამსონოვი (მოსკოვი), 3. ე. შარაპოვი (ტამბოვი) და ნ. როგაჩოვი (მოსკოვი).

ქვემძიმე. 1. დ. პოზნიაკი (ვილნიუსი), 2. ა. კისელიოვი (მოსკოვი), 3. ვ. ბინგიალისი (ვილნიუსი) და ვ. მინაკოვი (ალმა-ათა).

მძიმე. 1. ა. ვასიუშკინი (მოსკოვის ოლქი), 2. ი. ჩეპულისი (კაუნასი), 3. კ. საროიანი (ერევანი) და ლ. კრიუკი (მინსკი).

## ახალი სახელის სახელი

# გაიცანით: ანატოლი კოზეევი

შარშან დეკემბერში კუიბიშევში ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება ჩატარდა სსრ კავშირის თასზე. ამ შეჯიბრებაში უძლიერესები — პირველი ოლიმპიური ნაკრების სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. ეს იყო ტურნირი ახალგაზრდობის თასზე. მისგან ახალ სახელებს ელოდნენ და არც შემცდარან. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა ნაცნობმა და არც ისე ახალგაზრდა ტანმოვარჯიშემ — მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 22 წლის ანატოლი კოზეევმა. ადრე მას იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ, მაგრამ თავის ძალაში ნაკლებ დარწმუნებულ სპორტსმენს, რომელსაც კარგი სკოლა აკლდა. და აი, სარბიელზე გამოვიდა ჩამოყალიბებული ოსტატი დამახასიათებელი ხელწერით, დიდი სირთულით და მაგარი ნერვებით. მან მხოლოდ 0,05 ქულა წააგო გამარჯვებულთან, გამოცდილ ვალერი კერდემელიდისთან.

კოზეევს ტანმოვარჯიშის კლასიკური პროპორციები აქვს: სიმაღლე — 170 სმ, წონა — 63 კგ. ერთი შეხედვით, იგი ნელი, ცოტა მოშვებულიც კი ჩანს, მაგრამ ეს მატყუარა შთაბეჭდილებაა: კოზეევი, როგორც სპორტსმენები ამბობენ, „აფეთქების“ ტანმოვარჯიშეა. სახეზე მას სიმშვიდის ბეჭედი აზის. არა, ფლეგმატური როდია. გარეგნული გულგრილობის მიღმა იმალება მოუსვენარი, ფიცხი ბუნება. ეს გულჩახვეული ჭაბუკი მიეჩვია განცდების სულში ჩამარხვას. და ვინ იცის, რა დადგებოდა კოზეევისგან, სხვა მწვრთნელთან რომ მოხვედრილიყო.

ანატოლი კულაკოვი 32 წლისაა. ახლა იგი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია, სამი წლის წინ კი, როცა მის ჯგუფში კოზეევი მოხვდა, თავადაც ახალბედა იყო.

— ტოლიას უკვე ბევრი რამ შეეძლო, — ჰყვება კულაკოვი — წვრთნის დროს რთული ელემენტები გამოსდიოდა, მაგრამ ნეტა გენახათ! ამაზე პრიმიტიული ტექნიკა არ მინახავს. ახლა რა შესახედავი იყო, მოხრილი, ჩია... ვფიქრობდი, როგორ გავშალო წელშიმეთქი.

მწვრთნელმა ალბათ იცოდა „როგორ გაეშალა წელში“. ჩინებულმა ტანმოვარჯიშემ, ქვეყნის ჩემპიონატების პრიზიორმა ცალკეულ სახეობებში კულაკოვმა ჩინებული სკოლა გაიარა ერთ-ერთ საუკეთესო საბჭოთა სპეციალისტთან კ. კარაკაშიანცთან და თავის დროზე თავადაც იმით დაიწყო, რითაც ახლა კოზეევს უნდა დაეწყო: კლასისა და ტექნიკის დასახვეწად ხანგრძლივი, მომქანცველი მუშაობით. მაგრამ სიძნელეს სხვა ქმნიდა: როგორ დაერწმუნებინა კოზეევი, რომ ეს წარმატების ერთადერთი გზა იყო?

კოზეევი მოსკოვში ანგარსკიდან ჩამოვიდა სასწავლებლად. ტანვარჯიშში 15 წლიდან დაიწყო და თითო წელიწადში თითო თანრიგის ნორმას ასრულებდა: მოზარდთა მესამე, მეორე, პირველი. დარბაზი ვიწრო და დაბალჭერიანი იყო. ძელზე დიდი ბრუნის შესწავლა რომ დაიწყეს, ჭერზე კოჭის ამომტვრევა გახდა საჭირო. ასეთ პირობებში წვრთნით ტოლიამ ბევრს მიაღწია — მჭიდროდ მიუახლოვდა ოსტატობის ზღვარს. ეს მოდა, რომ აქებდნენ, ნიჭიერიაო! მოსკოვში იმ სურვილით მიდიოდა, რომ ძლიერი ტანმოვარჯიშე გამხდარიყო და უკვე პირველ კურსზე შეასრულა ოსტატის ნორმატივი. და აი, ახალმა მწვრთნელმა მოულოდნელად გამოუცხადა: ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოო.

დაიწყეს, მაგრამ დიდი გაჭირვებით. ტოლიას სწამდა და არც სწამდა თავისი ახალგაზრდა მწვრთნელისა, რომელიც მისთვის ისევ „ტოლია“ იყო. უჯერებდა და არც უჯერებდა. დროდადრო მაინც იჩენდა თავს ეჭვი და ეჭვით გამოწვეული გალიზიანება: „აი, ჩვენ სულ ტექნიკას ჩავციებივართ, სხვები კი!...“

სხვები მართლაც სხვანაირად ემზადებოდნენ: რთულ ელემენტებს ჯიქურ სწავლობდნენ და შეჯიბრებებში მუდამ უსწრებდნენ კოზეევს. ამასთან, ისინი უფრო ახალგაზრდები იყვნენ. მათ ამისთვისაც აქებდნენ. სად არიან ახლა ისინი, ეს ახალგაზრდა ტალანტები? გამოჩნდნენ, გაიელვეს და გაქრნენ, ფორსირებული წვრთნის ცეცხლში ჩაიწვნენ. კოზეევის მაგალითი კი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საფუძვლიანი ტექნიკური მარაგი, თანმიმდევრულობა და სკოლის გამეორება ტანვარჯიშული ხელოვნების საიმედო საფუძვლებად რჩება.

კუიბიშევში კოზეევი სირთულის რეკორდსმენი იყო. მისი ვარჯიში ყველა იარაღზე შეესაბამებოდა ყველაზე მაღალ საერთაშორისო სტანდარტს. კომბინაცია ხალიჩაზე კოზეევმა დაამთავრა აკრობატული ნახტომით — „სალტო ორი ხრახნით“. ასეთი დაბოლოება მსოფლიოში ჯერ არც ერთ ტანმოვარჯიშეს არ უჩვენებია. მართალია, ამ ვირტუოზულ მალაყს, როგორც ყველა თავისი „ულტრა-სის“ გაკეთება ანატოლის ადრე შეეძლო. მაგრამ ყველაფერი რომ ერთიან კომპოზიციაში მოექცია, სრულყოფისთვის მიეღწია და თვითეული მოძრაობის „ორიგინალური შეგრძნება“ გასჩენოდა, დიდი, ხანგრძლივი, ჩაკირკიტებული და უინტერესო შრომა იყო საჭირო. ამას გამუდმებით ავალებდა მწვრთნელი.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში კოზეევმა 34-ე ადგილი დაიკავა მოკრძალებული 108 ქულით. მაგრამ მაშინ კულაკოვმა უთხრა: „ტოლია, შენ უკვე მზად ხარ!“ და მართლაც, შემოდგომით ვორონინთან, დიომიდოვთან, ლისიცკისთან, კლიმენკოსთან და ქვეყნის სხვა უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად წვრთნის დროს კოზეევმა პირველად იგრძნო, რომ შეუძლია მათ შეადაროს თავი, ზოგიერთს კი მეტოქეობაც გაუწიოს. სსრ კავშირის თასის წინ მისი დარწმუნება აღარ იყო საჭირო — კოზეევს უკვე სწამდა თავისი ძალისა.

მე კოზეევი ვნახე მის პირველ მეცადინეობაზე 1968 წელს. მაგნეზიით დათხვრილ ქურთუკში, მხრებჩამოყრილი, გულგრილი, იგი არაფრით არ ჰგავდა საერთაშორისო კლასის ოსტატს. იმეორებდა და იმეორებდა ძელზე მარტივ ილეთებს — ტექნიკას ამუშავებდა. ჩამოხტება იარაღიდან, მწვრთნელს უცვლელი, დაღვრემილი სახით შეხედავს, მოუსმენს, ამოიხვნეშებს და კვლავ ძელზე ადის.

ვკითხე, რა ჩაიფიქრე ახალი წლისთვის-მეთქი. გაიღიმა:

— სამი რამ: ინსტიტუტის დამთავრება, დაოჯახება და მეხიკოში მოხვედრა.

რომელია ამ სამიდან ყველაზე დიდი ოცნება, კოზეევს არ უთქვამს.

პ. ანდრეევი.

## საბჭოთა კავშირის ხუთჭიდელებმა ყველას აჯობეს

## იერიში გასტონ რულანტსის რეკორდზე

## აუნის მსოფლიო მიღწევა

ტარტუს უნივერსიტეტის სტადიონზე მრავალჭიდელ მძლეოსანთა საქალაქო პირველობაში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რ. აუნმა გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა ხუთჭიდში — 4079 ქულა დააგროვა. ეს ჯამი შემდეგი მაჩვენებლებისგან შედგა: სიგრძეზე ხტომა — 733 სმ; 200 მეტრზე რბენა — 21,9 (პირადი რეკორდი); შუბის ტყორცნა — 72,26 (პირადი რეკორდი); ბადრის ტყორცნა — 50,05 მ (პირადი რეკორდი); 1500 მეტრზე რბენა — 4.34,5.

წინანდელი მსოფლიო მიღწევა ეკუთვნოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალჭიდელს კ. ბენდლინს და უდრიდა 4016 ქულას (747; 21,8; 77,42; 44,53; 4.37,7).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

8

უე 07638